<u>ტექნიკური დავალება</u>

პოზიციის დასახელება: პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მუშაობის ინტეგრაციის პროგრამის მთავარი ტრენერი

პროექტი: საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე აქცენტით და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით
განმახორციელებელი: ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG)
დონორი: ევროკავშირი /საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) / Expertise France.
ხანგრძლივობა: მაისი - ოქტომბერი, 2026

1. მოკლე მიმოხილვა

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG) 2024 წლის იანვრიდან ახორციელებს ევროკავშირის/AFD/Expertise France-ის მიერ დაფინანსებული „ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის“ ჯანდაცვის კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე აქცენტით და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეა პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლების გადამზადება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე. აღნიშნული ინიციატივა მოიცავს ტრენინგებს 10 თემაზე, შემთხვევაზე დაფუძნებულ მხარდამჭერ სუპერვიზიასა და ადგილზე ვიზიტებს. ამჟამად, მთელი საქართველოს მასშტაბით პროგრამაში ჩართულია პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელთა 102 სასწავლო ჯგუფი.

პროგრამის ფარგლებში ასევე იგეგმება ახალი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებისათვის სოციალური მუშაობის პრინციპების გაცნობას და მათთან ეფექტიანი თანამშრომლობის გაძლიერებას. აქტივობა ფოკუსირდება ფსიქოსოციალური რისკების, მათ შორის ძალადობის, მოწყვლადობისა და სოციალური საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და შესაბამის სერვისებზე რეფერირებაზე.

აღნიშნული აქტივობის განსახორციელებლად, CCRG ეძებს კვალიფიციურ მთავარ ტრენერს (უფროს სოციალურ მუშაკს), რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების შემუშავებას, ტრენერთა ტრენინგის (ToT) ჩატარებას და რეგიონული სოციალური მუშაკების ტექნიკურ მხარდაჭერასა და ზედამხედველობას.

2. დავალების მიზნები

- პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისათვის სასწავლო პროგრამის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკაზე დაფუძნებულ ცოდნას ფსიქოსოციალური რისკების იდენტიფიკაციასა და შესაბამის რეფერალურ მექანიზმებზე.
- რეგიონული სოციალური მუშაკების უნარების გაძლიერება ტრენერთა ტრენინგის (ToT) მეშვეობით.
- რეგიონული სოციალური მუშაკების (ტრენერების) მიერ ტრენინგებისა და დამხმარე ზედამხედველობის სესიების ხარისხისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა.

3. სამუშაოს მოცულობა

მთავარი ტრენერი პასუხისმგებელია შემდეგი საქმიანობების განხორციელებაზე:

1. სასწავლო გეგმის შემუშავება (2026 წლის მაისი)

- სასწავლო მასალა უნდა მომზადდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის, სოციალური სერვისების, ძალადობისა და მოწყვლადობის თემებზე, ქვეყანაში მოქმედი ეროვნული პოლიტიკის, მითითებებისა და სტანდარტების გათვალისწინებით;
- სასწავლო პროგრამა უნდა იყოს ადაპტირებული პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლების საჭიროებებზე.

სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს მინიმუმ:

- ფსიქოსოციალური რისკების იდენტიფიცირებას (ძალადობა, უგულებელყოფა, დაუცველობა) იდენტიფიცირებას;

- ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში;
- რეფერალისა და კოორდინაციის მექანიზმებს;
- პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერებისა და სოციალური მუშაკების როლებსა და პასუხისმგებლობებს;
- მოწყვლად პაციენტებთან ეფექტიანი კომუნიკაციას

სასწავლო გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს:

- პრეზენტაციებს
- რეალური შემთხვევების გარჩევას
- პრაქტიკულ სავარჯიშოებს
- ზედამხედველობის სახელმძღვანელო პრინციპებს
- ტრენინგის მეთოდოლოგიას (ინტერაქტიული სესიები, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსიები).

სასწავლო გეგმა უნდა შეთანხმდეს CCRG-თან.

2. ტრენერთა ტრენინგის ჩატარება (2026 წლის მაისი)

- ჩაატარებს შერჩეული რეგიონული სოციალური მუშაკებისთვის **2-დღიან ტრენერთა ტრენინგს**
- უზრუნველყოფს სტანდარტიზაციას, მათ შორის:
  - ტრენინგის შინაარსის;
  - ასილიტაციის;
  - შემთხვევაზე დაფუძნებული ზედამხედველობის მეთოდოლოგიის.

3. რეგიონალური ტრენერების ტექნიკური მხარდაჭერა და ხარისხის უზრუნველყოფა (2026 წლის ივნისი – ოქტომბერი)

- უზრუნველყოფს რეგიონული ტრენერებისთვის ტექნიკურ ხელმძღვანელობას;
- მიიღებს მონაწილეობას შერჩეულ ონლაინ სესიებში (საჭიროებისამებრ);
- დაეხმარება რეგიონალურ ტრენერებს რთული შემთხვევების მოგვარებაში.

4. ჩასაბარებელი შედეგები და ვადები

1. სასწავლო პროგრამის პროექტი	2026 წლის მაისი
2. სასწავლო გეგმის და მასალების ფინალური პაკეტი	2026 წლის მაისი
3. ტრენერების ტრენინგი (დღის წესრიგი, მასალები)	2026 წლის ივნისი
4. რეგიონული ტრენერების ტექნიკური მხარდაჭერა	2026 წლის ივნისი – ოქტომბერი
5. საბოლოო აქტივობის ანგარიში	2026 წლის ოქტომბერი

5. საჭირო კვალიფიკაცია

მთავარი ტრენერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- უმაღლესი განათლება სოციალური მუშაობის, ფსიქოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან მასთან დაკავშირებული მიმართულებით; სასურველია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- მინიმუმ **5-7 წლიანი პროფესიული გამოცდილება**
- დადასტურებული გამოცდილება
    - სასწავლო გეგმის შემუშავებაში,
    - ჯანდაცვის და/ან სოციალური მომსახურების სპეციალისტების შესაძლებლობების განვითარებაში;
- **ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის (MHPSS) სფეროში დადასტურებული პროფესიული გამოცდილება, მათ შორის ფსიქო-სოციალური რისკების იდენტიფიცირებასა და მართვაში.**
- ღრმა ცოდნა:
    - საქართველოს სოციალური მომსახურების სისტემის შესახებ;
    - პირველადი ჯანდაცვის სისტემის შესახებ (სასურველია).
- ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზების დადასტურებული გამოცდილება
- ძლიერი კომუნიკაციისა და ფასილიტაციის უნარები
- ქართული ენის თავისუფლად ცოდნა; ინგლისური ჩაითვლება უპირატესობად.

6. ხანგრძლივობა და ჩართულობა

მომსახურება განხორციელდება 2026 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით.

ჩართულობის სავარაუდო დონე:

- სასწავლო გეგმის შემუშავება და მომზადება: 8–10 დღე
- ToT მიწოდება: 2 დღე
- ტექნიკური მხარდაჭერა და მონაწილეობა: მინიმუმ 20 დღე

7. განაცხადის შეტანის პროცედურა

დაინტერესებულ პირებს/კომპანიებს ვთხოვთ, წარმოადგინონ წინადადებები 2026 წლის 14 მაისამდე, შემდეგ მისამართზე: **ccrg-tender@caritas.cz**

თემა:
„GE68 – მთავარი ტრენერი პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური მუშაობის პროგრამაში "

წინადადებები უნდა მოიცავდეს:

ტექნიკური წინადადება (მაქსიმუმ 3–5 გვერდი):

- დავალების გააზრება
- შემოთავაზებული მიდგომა და მეთოდოლოგია
- შესაბამისი გამოცდილება

ფინანსური წინადადება:

- სასწავლო გეგმის შემუშავებისა და ტრენერების მომზადებისთვის განკუთვნილი ჰონორარი
- ტრენინგის/ზედამხედველობის ერთი სესიის საფასური

რეზიუმე

8. შეფასების კრიტერიუმები

წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ტექნიკური წინადადების ხარისხი და შესაბამისობა – **40%**
- შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია – **30%**
- ფინანსური წინადადება – **30%**